

საქართველოში მომხმარებელთა ინფორმირებაულობის დონე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხებში

სალომე ქურასბედია
სტუდენტ-დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებაულობის დონე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხში, შეფასებული და გაანალიზებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების და დასაქმების სფეროს მიხედვით მოსახლეობის ცნობიერების ხარისხი საკითხის მიმართ.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონით „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, განსაზღვრული საზედამხებელო და მაკონტროლებელი ორგანოების როლი.

კვლევა მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, ფორმატი განსაზღვრულია როგორც ონლაინ გამოკითხვის, ისე ბეჭდური ანკეტების სახით. კვლევა ტარდება სადისერტაციო ნაშრომისთვის „საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის და კონტროლის სრულყოფის გზები საქართველოში“.

კვლევის მიზანია საქართველოში არსებული მდგომარეობის აღქმა და შეფასება არალეგალური შემოსავლების ლეგალიზაციის მიმართულებით, კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის არსებობის დონის განსაზღვრა, ინფორმაციის დაცულობის კუთხით ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სანდოობის ხარისხის გარკვევა.

CUSTOMER'S AWARENESS LEVEL IN GEORGIA IN THE LEGALIZATION OF ILLICIT INCOME

SALOME KURASBEDIANI
PhD student of GTU

ABSTRACT

In the last article was discussed the level of awareness of the Georgian population regarding legalization of illicit income. Assessed and analyzed the level of consciousness of the population according to the various age groups and employment areas, their depth or general perception of the issue.

This paper represents the role of the supervisory and controlling bodies defined by the Organic Law of Georgia on "Facilitating the Prevention of Illicit Income Legalization". The survey comprises various regions

throughout Georgia and its format includes online surveys and paper questionnaires.

The research is written for the dissertation work "The ways of promoting and suppressing illicit income legalization in the banking system in Georgia".

The research aims to understand the situation in Georgia and the rate of illegal income legalization, control bodies information on the activity level of existence, the financial institutions and the credibility of the quality of protection of transparent information.

* * * *

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დღითიდღე იზრდება ფინანსური სუბიექტების როლი ფულადი ნაკადების მოძრაობაში როგორც დანაზოგების, ისე საერთაშორისო თუ ადგილობრივი ტრანზაქციების კუთხით. შესაბამისად, მაღალია ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით ფულის გათეთრების პროცესების განვითარების რისკი.

მოთხოვნა-მიწოდების პრინციპებიდან გამომდინარე, ბაზარზე ფინანსური სუბიექტების წარმატებული ფუნქციონირება მეტწილად განპირობებულია მომხმარებლების ნდობით, თუმცა აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების ნდობის ხარისხი ფინანსური ინსტიტუტების პოლიტიკის მიმართ, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ არალეგალური შემოსავლების, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა ინფორმირებაულობა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა ფინანსური ინსტიტუტისთვის მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, განაპირობებს ფინანსური სუბიექტების მხრიდან არალეგალური ტრანზაქციების წინააღმდეგ ეფექტური ნაბიჯების გადადგმას.


ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თემა რომ საკმაოდ მწვავე პრობლემაა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, გამოვლინდა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგადაც. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა რესპოდენტების მოსაზრებების ანალიზი და მათი ინფორმირებაულობის გამოვლენა ამ საკითხის გარშემო. შესაბამისად, ჩავატარეთ მარტივი, ანონიმური გამოკითხვა მოსახლეობის ასაკობრივი და პროფესიული ნიშნით, რის შედეგად საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა.

იმისათვის, რომ კვლევიდან მიღებული ინფორმაცია უფრო ნათელი იყოს და საერთო მდგომარე-


ობის შეფასება გაგვიმარტივდეს, რესპოდენტების პასუხები გავაერთიანეთ სამ ჯგუფში: ასაკობრივი ნიშნით, პროფესიული ნიშნით და საკითხის ცოდნის ხარისხის მიხედვით.

გამოკითხულთა რაოდენობა კვლევის მიმდინარე ეტაპზე შედგება 350 რესპოდენტისაგან. პროპორციულობა პროფესიული და ასაკობრივი კუთხით გადაწონილებულია 1 და 2 სქემების მიხედვით.

კვლევის შედეგი პროფესიულ კრილში



კვლევის შედეგი ასაკობრივ კრილში




როგორც მოტანილი სქემა 2-დან ჩანს, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი, რომელიც მოქცეულია 18-27 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, საკმაოდ ამომწურავად ფლობს ინფორმაციას ფულის გათვრების არსის და შედეგების შესახებ, რაც ვფიქრობთ იმის გააზრების საშუალებას იძლევა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ არაკანონიერ საქმიანობას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხულთა 3,2% გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ ან სარგებლის გარეშე დათანხმდება საკუთარი საბანკო მონაცემების მესამე პირის სასარგებლოდ გამოყენებაზე, რითაც საფრთხეს უქმნის როგორც თავის თავს, ისე დანაშაულის პრევენციას. 36 წლის და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტების პასუხები თემასთან დაკავშირე-

ბით საკმაოდ აზრიანი და ჩამოყალიბებულია, თუმცა აქაც რესპოდენტების დიდი ნაწილი ნაკლებად ენდობა საფინანსო სექტორს ინფორმაციის დაცულობის კუთხით და კითხვაზე - „რამდენად ამომწურავია მათი პასუხები საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიერ დასმულ კითხვებზე“, 5,7%-ის პასუხია - „ნაწილობრივ“.

ფინანსური ინსტიტუტებში ვერ ხდება სათანადო სიზუსტის ინფორმაციის აკუმულირება, ე.წ. „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის ფარგლებში, რადგან მომხმარებლის ნდობა ინფორმაციის დაცვის კუთხით, გარკვეულწილად სუსტია.

კვლევის შედეგი გამოკითხულთა ცნობიერების დონის მიხედვით ასე გამოიყურება:

ცოდნის დონე პროცენტულად



გამოკითხულთა 7% საერთოდ არ იცნობს საკითხს და მათი პასუხებიც თემის ირგვლივ არასწორადაა ფორმულირებული, ხოლო 93% მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია. მოცემული 93%-დან გამოკითხულთა 17%-მა დასმულ კითხვებზე მიზეზ-შედეგობრივი პასუხი გაგვცა, 83%-ს აქვს ზოგადი წარმოდგენა, თუმცა კონკრეტულ ქეისებზე ბუნდოვანი პასუხი გააჩნია. მაგ: კითხვაზე - „დაეხმარებით თუ არა მესამე პირს თქვენი ანგარიშის გამოყენებით შეასრულოს გარკვეული ტრანზაქცია?“, პასუხია - „გააჩნია ვინ მთხოვს“.

მსგავსი პასუხი გარკვეული რისკის შემცველია, თუ პოტენციურ დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მეგობრული ან/და ნათესაური დამოკიდებულება მსხვერპლს დამნაშავეს სასარგებლო ქმედებისკენ უბიძგებს.

83%-იან მაჩვენებელში შედის „ლოიალური მომხმარებელი“, რომელიც სათანადოდ ვერ იაზრებს საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალურობის ხარისხს და მარტივად თანხმდება თავისი მონაცემების გამოყენებას მესამე პირის სასარგებლოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოების უმრავლესობას ინფორმაცია არ აქვს ფინანსური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებზე, გარდა ეროვნული ბანკისა, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ ზედამხედველობით შემოიფარგლება. მათი ოდენობა საერთო გამოკითხულ რესპოდენტთა 13%-ს შეადგენს. მოსახლეობის ინფორმირებულო-

ბის მსგავსი მაჩვენებელი, ვფიქრობთ, განპირობებულია შესაბამისი ორგანოების მხრიდან ინფორმაციული ვაკუუმით.

საქართველოს მოსახლეობისთვის, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, უცხო არ არის ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის საშუალებით, განსაკუთრებით როცა ენის ბარიერი მოხსნილია. მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშეა გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია თუნდაც ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა. თუმცა არაოფიციალური და ზოგადი ინფორმაცია მომხმარებელს თავის სასარგებლო დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. პრობლემა ამ შემთხვევაში საზედამხედველო ორგანოების მხრიდან რიგითი მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს. საზედამხედველო ორგანოები ძირითადად ორიენტირებული არიან მათ საზედამხედველო სანქციებს დაქვემდებარებულ ფინანსურ სუბიექტებს მიანდონ ინფორმაცია.

მონაცემები რომელიც მომხმარებელმა შეიძლება ინტერნეტის საშუალებით მოიპოვოს, ხშირ შემთხვევაში მოითხოვს შესაბამის სფეროში საბაზისო ცოდნას. დეტალების არასწორ ანალიზს კი მივყავართ სუბიექტურ გადანყვეტილებამდე, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასწორია და არცოდნის გამო მომხმარებელი შეიძლება გახდეს „უნებლიე“ დამნაშავე. მომხმარებლის გაუთვითცნობიერებელი სეგმენტი საკმაოდ მიმზიდველია დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის, რომლებიც არალეგალური თანხების ლეგალიზებას ცდილობენ თანხების „დანაწევრების“ გზით.

გამოკითხვის შედეგები არც თუ ისე სავალალოა, თუმცა სრულ პრევენციამდე საკმაოდ ბევრი მუშაობაა საჭირო, პირველ რიგში, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. სამოქალაქო განათლება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ კრიტიკულ სფეროში, აქაც გადამწყვეტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2017 წლის ანგარიში - https://www.fms.gov.ge/Uploads/files/Draft_Report_2017_with_diagrams.pdf
2. „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდიკური სახელმძღვანელო. დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის N840 განკარგულებით, 2004 წლის 30 დეკემბერი. - https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/pulis_gatetrebis_saxelmzgvanelo.pdf
3. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2003 წლის 6 ივნისი.
4. მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdVGqeE3kqxtYEhBSZtEBU0F8o_OjoE3K1tLvmcDbnytjY7w/viewform?vc=0&c=0&w=1